თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2825291

ნომერი: AR1435284

თარიღი : 26.08.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 09.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი მთაწმინდა , N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იგორი სვიმონიშვილი პ/ნ 01017000889
- თბილისი ნიაღვრის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1435284 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, მთაწმინდის შესახვევი #13-ში (ს/კ #01.15.05.057.006) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 30 დეკემბრის #2354982 ბრძანებით ქ. თბილისში, მთაწმინდის შესახვევი #13-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.15.05.057.006) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის. 23.06.2016წ. #2669933 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2015 წ. #2354982 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირებული იქნა ფუნქციური ზონა– საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5).

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2016 წლის 24 მარტის #15 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის #15-43 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მთაწმინდის შესახვევი #13-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.15.05.057.006), ფუნქციური ზონის – სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილებას საცხოვრებელი ზონა 5-ით მიეცა თანხმობა. (სამსახურის 18.05.2016წ. #2539307 წერილი)

2016 წლის 09 ივნისს #2636282 ბრძანებით ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა), მთაწმინდის შესახვევი #13–ში, საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დაემონტაჟის ნებართვა.

2016 წლის 12 ივლისს #2706114 ბრძანებით ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე (ს/კ #01.15.05.057.006) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2016 წლის 08 სექტემბრის #2822764 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2016 წლის 22 აგვისტოს #AR1434066 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ირაკლი აბაშიძემ და მოითხოვა კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ოდენობის კორექტირება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.